ფრიდრიხ ნიცშე

FRIEDRICH NIETZSCHE

ანტიქრისტე

წყევლა ქრისტიანობას

გამომცემლობა „აქტი“
თბილისი – 2021

„ანტიქრისტე – წყევლა ქრისტიანობას“. სახელწოდება შესაძლოა ითარგმნოს „ანტიქრისტიანის“ მნიშვნელობითაც, რადგან, გერმანული სიტყვა „Antichrist“ ნიშნავს „ანტიქრისტესა“ და „ანტიქრისტიანს“.

წინამდებარე გამოცემა არის ტექსტის არაბეჭდური გამოცემის შესწორებული და გადამუშავებული ვერსია. არსებული თარგმანი შედარებულ იქნა ფრიდრიხ ნიცშეს თხზულებების აკადემიურ-კრიტიკულ გამოცემასთან (რედაქტორები: ჯ. კოლი, მ. მონტინარი). შესაბამისად, არსებულ თარგმანს დანართის სახით დაემატა „კანონი ქრისტიანობის წინააღმდეგ“, რომელიც თან ერთვის „ანტიქრისტეს“ აკადემიურ გამოცემებს.

მთარგმნელი: ვახტანგ გორგიშელი
რედაქტორი: გიორგი თავაძე
გამომცემელი: გიზო ცაცუა

გამომცემლობა „აქტი“, 2021 წელი
ვებ-გვერდი: AKTI.GE

©iBooks
© გამომცემლობა „აქტი“

ISBN 978-9941-8-3453-0

სარჩევი

მთარგმნელის წინასიტყვა 4
გიორგი თავაძე
ნიცშეს „ანტიქრისტე“ და ორად
გახლეჩილი ისტორია 7

ფრიდრიხ ნიცშე
ანტიქრისტე

წინასიტყვაობა 29
ანტიქრისტე.....31
წყევლა ქრისტიანობას 155

გამომცემლობის მიერ გამოცემული წიგნები 158

მთარგმნელის წინასიტყვა

ფრიდრიხ ნიცშე უდაოდ ყველაზე გამორჩეული და არაერთაზროვანი ფილოსოფოსია XIX საუკუნეში, რომელმაც შეძლო, ეპოქის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს შეხებოდა არცთუ ხანგრძლივი მოღვაწეობის განმავლობაში. ერთ-ერთი ფუნდამენტური მის შემოქმედებაში არის თემა რელიგიისა, უფრო ვიწროდ კი ქრისტიანობის.

გერმანული სიტყვა „Antichrist“ ნიშნავს, როგორც „ანტიქრისტეს“, ასევე, „ანტიქრისტიანს“. აღნიშნული ნაშრომით ნიცშე ცდილობს ქრისტიანობის არა მხოლოდ როგორც რწმენისა და პრაქტიკის დელეგიტიმიზირებას, არამედ ასევე, როგორც ეთიკურ-მორალური სისტემისა, რომელიც დასავლურმა ცივილიზაციამ მიიღო მისგან მემკვიდრეობით. ეს წიგნი შესაძლოა ჩაითვალოს განვითარებად მისი იდეებისა, რომლებიც ქრისტიანობას ეხება და გადმოცემულია წიგნებში „სიკეთისა და ბოროტების მიღმა“ და „მორალის გენეალოგია“, განსაკუთრებით კი აზრისა, რომ თანამედროვე მორალი არის ჭეშმარიტი, კეთილშობილი მორალის ინვერსია. ამ მიზეზით მის უკანასკნელ ნაშრომთა ძირითადი იდეების გაცნობიერება არსებითია „ანტიქრისტეში“ გადმოცემული იდეების გასაგებად. ასეთ იდეათაგან ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესს წარმოადგენს ის, რომ ქრისტიანობამ ადამიანები ნიჰილისტებად და სუსტებად აქცია, შერაცხა რა სიბრალული და მასთან დაკავშირებული გრძნობები უმაღლეს

ღირსებებად. აქ, ისევე, როგორც „მორალის გენეალოგიაში“, ნიცშე ამ ღირებულებათა წარმომავლობას ძველ ებრაელებთან აკვლევს, რომლებიც რომის ბატონობის ქვეშ ცხოვრობდნენ, მაგრამ ამ ღირებულებებს ამჯერად განიხილავს ღმერთის შესახებ მათი წარმოდგენის თვალსაზრისით. ნიცშე ამტკიცებს, რომ ოდესღაც ებრაელთა ღმერთი განასახიერებდა ამაყი და ძლიერი ერის კეთილშობილ ღირსებებს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ისინი რომაელებს დაემორჩილნენ, მათი ღმერთი ჩაგრული, განაწყენებული ადამიანების „ღირსებების“ (რომლებიც გრძნობებს უფრო ჰგავს) განსახიერებად იქცა.

შემდგომ ამისა ნიცშე რამდენიმე ფრაგმენტს უთმობს ქრისტიანობისა და ბუდიზმის დაპირისპირებას მანუს კოდექსის ტექსტის საფუძველზე და გვიხატავს იესოს სურათს, რომელსაც, პრაქტიკულად, თითქოს ბუდისტურად ეცხოვროს. ავტორის განსაკუთრებული რისხვა ატყდება თავს პავლე მოციქულს, რომელმაც ისტორიულად მართებული იესო, იესო „ნაზარეველი“ აქცია იესო „ქრისტედ“ და იესოს მიერ განდევნილი მღვდელმსახურები ეკლესიაში დააბრუნა, რითიც ინსტიტუტის შექმნას ჩაუყარა საფუძველი. ამასთანავე, ნიცშე ამტკიცებს, რომ ქრისტიანობის მორალური და მეტაფიზიკური პრინციპები, რომლებსაც ის დეკადენტურად თვლის, იმდენად გაუჯდა დასავლურ ფილოსოფიას, რომ ფილოსოფოსები უნებურად იცავენ ამ პრინციპებს მაშინაც კი, როდესაც ღმერთი მათ თეორიებში არ გვხვდება.

იმავდროულად, ნიცშეს არაფერი აქვს საწინააღმდეგო იესოს პიროვნებისა, ამბობს რა, რომ ის იყო ერთადერთი ქრისტიანი, თუმცა მას ცალსახად მოკვ-

დავად და გზას აცდენილად მიიჩნევს, საპირისპიროდ ჭეშმარიტი ტიპისა, რომელსაც იგი მხარს უჭერს დიონისური გმირის მისეული კონცეფციით.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ ცდილობს რა გადასინჯოს დასავლური ფასეულობები, რასაც იუდეურ-ქრისტიანულ ტრადიციათა გავლენის განადგურებით გულისხმობს, „ანტიქრისტე“ ფრიად წინააღმდეგობრივ წიგნს, მეორე მხრივ კი სტიმულის საფუძველს წარმოადგენს ფილოსოფოსთა მომდევნო თაობებისთვის.

ვახტანგ გორგიშელი

გიორგი თავაძე

ნიცშეს „ანტიქრისტე“ და ორად გახლეჩილი ისტორია

1888 წლის დეკემბრის დასაწყისში დანიელი კრიტიკოსის გეორგ ბრანდესისადმი (1842-1927 წწ.) განკუთვნილი წერილის „შავ“ ვერსიაში ნიცშე წერდა: „ძვირფასო მეგობარო, საჭიროდ მიმაჩნია, რამდენიმე უმნიშვნელოვანესი საკითხი გაგიზიაროთ. პატიოსან სიტყვას გაძლევთ, რომ ისტორიას უკან მოვიტოვებთ. ჩვენ დიდ, სულაც უდიადეს პოლიტიკაში შევაბიჯეთ... მე ვამზადებ მოვლენას, რომელიც, ძალიან დიდი ალბათობით, ისტორიას ორ ნაწილად გახლეჩს. საქმე იქამდე მივა, რომ ჩვენ ახალი წელთაღრიცხვა გვექნება, რომელშიც 1888 წელი პირველ წლად მოგვევლინება. [...] სამ თვეში დავიწყებ ზრუნვას, რათა გამოქვეყნდეს ჩემი *ხელნაწერი* სათაურით „*ანტიქრისტე*. ყველა ღირებულების გადაფასება“. ეს სრულიად საიდუმლოდ უნდა დარჩეს. ეს გამოცემა სააგიტაციო გამოცემა იქნება. მე მჭირდება თარგმანები ყველა ძირითად ევროპულ ენაზე. როდესაც ნაშრომი გამოქვეყნებისთვის მზად იქნება, *პირველი* გამოცემისთვის საჭირო იქნება მილიონი ეგზემპლარი თითოეულ ენაზე.“[1]

1. იხ. An Georg Brandes in Kopenhagen (Entwurf). Anfang Dezember 1888. http://www.nietzschesource.org/#eKGWB/BVN-1888,1170 (წვდომა განხორციელდა: 12.12.2019)

„ანტიქრისტე“, ალბათ, ნიცშეს ყველაზე უფრო მეტად სკანდალური ნაწარმოებია. სკანდალურია მისი დებულებები, მისი ტონი და მანერა. ავტორი თითქოს გაცოფებულია ქრისტიანობით, მძვინვარებს იმის გამო, რომ ქრისტიანობა საერთოდ არსებობს და არ იშურებს სალანძღავ სიტყვებს და სარკასტულ შენიშვნებს მის მიმართ. უკვე ქვესათაური – „წყევლა ქრისტიანობას“ – ნაწარმოების უკიდურესად დაძაბულ ატმოსფეროს ამჟღავნებს. რამდენიმე ნაწყვეტის წაკითხვაც საკმარისია, რათა მკითხველმა შოკი მიიღოს:

(18):[2] „ღმერთის ქრისტიანული გაგება – ღმერთი როგორც დავრდომილთა ღმერთი, ღმერთი როგორც ობობა, ღმერთი როგორც სული – ერთ-ერთი ყველაზე შერყვნილი გაგებაა, რაც კი ოდესმე არსებულა დედამიწაზე. შესაძლოა, ის იმის საზომიც კი იყოს, სადამდე შეიძლება დაეშვას ღვთაების ტიპი მის დაღმავალ განვითარებაში. ღმერთი, რომელიც *სიცოცხლის წინააღმდეგობად* გადაგვარდა, ნაცვლად იმისა, რომ მისი შუქფენა და მარადიული დამკვიდრება ყოფილიყო!“

(21): „ქრისტიანობა – ეს არის *გონების*, სიამაყის, მამაცობის, თავისუფლების სიძულვილი; ესაა გონების გარყვნილება. ქრისტიანობა არის *გრძნობების*, გრძნობათა სიხარულის, ზოგადად სიხარულის სიძულვილი...“

(46): „ამაოდ ვეძებდი „ახალ აღთქმაში“ ერთ სიმპათიურ თვისებას მაინც: მასში არაფერია ისეთი, რასაც

2. აქ და ქვემოთ ფრჩხილებში მოყვანილი რიცხვი მიუთითებს „ანტიქრისტეს“ შესაბამის ქვეთავს.

შეიძლება თავისუფალი, კეთილი, გულწრფელი, პატიოსანი ვუწოდოთ. ადამიანობა აქ არც კი გამოვლენილა, არ გვხვდება სისუფთავის ინსტინქტები... „ახალ აღთქმაში“ მხოლოდ *უვარგისი* ინსტინქტებია და არ ჰყოფნით სიმამაცე თავად ამ უვარგის ინსტინქტებთან მიმართებაშიც კი. სრული სიმხდალე, თვალების დახუჭვა და თვითმოტყუება – აი, რა არის მასში. ნებისმიერი წიგნი სუფთად მოგეჩვენებათ, თუკი მას „ახალი აღთქმის“ შემდეგ წაიკითხავთ.“

მკითხველის პირველ რეაქციას – შოკს – შესაძლოა, ბრაზი და გულისწყრომა მოჰყვეს. ამის შედეგი შესაძლოა იყოს ნიცშეს პიროვნების დემონიზება (რასაც ხელს უწყობს ნიცშეს მიერ საკუთარი თავის ანტიქრისტედ პოზიციონირება) და მთელი მისი შემოქმედების ხელაღებით უკუგდება. ისეთი პროვოკაციული ტექსტის შემთხვევაში, როგორიც „ანტიქრისტეა“, ამგვარი რამ გამორიცხული არც არის. შესაძლოა, სწორედ ამიტომ მიიჩნევდა ნიცშე ამ ნაშრომს მხოლოდ რჩეულებისთვის, ადამიანთა ძალიან მცირერიცხოვანი წრისთვის განკუთვნილად.[3] თუმცა, უნდა ითქვას, რომ იმ შემთხვევაშიც, თუკი „ანტიქრისტეს“ ნიცშეს ფილოსოფიით დაინტერესებული ადამიანი პირველად კითხულობს, ეს ნაწარმოები, ალბათ, მისთვისაც მძიმე იქნება. „მძიმე“ იმ აზრით, რომ 1888 წელს დაწერილი „კერპების მწუხრისა“ და „Ecce homo“-სგან განსხვავებით, რომლებიც სტილისტურად ძალიან მრავალფეროვანი ნაწარმოებებია, „ანტიქრისტე“ მონოლითურ კრიტიკას წარმოადგენს. კრიტიკა მოდის ნიაღვრად, ღვარცოფად, მეწყრად: აზვირთებულ ბრალდებებს

3. იხ. წინასიტყვაობა: „ეს წიგნი მხოლოდ რჩეულებს ეკუთვნის.“

* * *

წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს პირველი გამოცემის შესწორებულ და გადამუშავებულ გამოცემას. თარგმანი შედარდა ნიცშეს თხზულებების აკადემიურ გამოცემასთან (კოლი-მონტინარის გამოცემა): იხ. Friedrich Nietzsche, *Sämtliche Werke. Kritische Studienausgabe in 15 Bänden*. Herausgegeben von G. Colli und M. Montinari. KSA, Band 6: 165-254. Neuausgabe 1999. Deutscher Taschenbuch Verlag GmbH & Co. KG, München. კოლი-მონტინარის გამოცემის შესაბამისად, თარგმანს დაემატა დანართი „კანონი ქრისტიანობის წინააღმდეგ“. ეს ერთგვერდიანი ტექსტი თან ერთვის „ანტიქრისტეს“ აკადემიურ გამოცემებს. მთარგმნელის შენიშვნების გარდა, რომლებიც, ძირითადად, შენარჩუნებულია, ტექსტს, ასევე, დაემატა რედაქტორის შენიშვნებიც.

გიორგი თავაძე

თბილისი, 2019 წლის 15 დეკემბერი

ფრიდრიხ ნიცშე

ანტიქრისტე

წინასიტყვაობა

ეს წიგნი მხოლოდ რჩეულებს ეკუთვნის. შესაძლოა, მათგან ჯერ არავინ მოვლენია ქვეყნიერებას. შესაძლოა, მათ რიცხვში ისინი იყვნენ, რომლებიც ჩემს „ზარატუსტრას“ გაიგებენ. როგორ *შევერეოდი* იმ ადამიანებს, რომლებსაც უკვე დღეს უსმენენ სხვები? – მე მხოლოდ ზეგინდელი დღე მეკუთვნის. ზოგიერთნი სიკვდილის შემდგომ იბადებიან.

მე ძალზე კარგად ვიცნობ პირობებს, რომლებშიც ჩემი ესმით (და მაშინ კი უკვე აუცილებლად მიგებენ). ჩემს სერიოზულობასა და ვნებას რომ გაუძლოთ, სულიერ საკითხებში სისასტიკემდე პატიოსნებაა საჭირო. მწვერვალებზე ცხოვრებას მიჩვეულნი უნდა იყოთ და თანამედროვე პოლიტიკისა და ნაციონალური ეგოიზმის უბადრუკ ლაყბობას *ზემოდან* უმზიროთ. გულგრილად უნდა იქცეთ და არასოდეს იკითხოთ, ჭეშმარიტებას სარგებლობა მოაქვს, თუ ის ბედისწერად იქცევა ადამიანისთვის... აუცილებელია სიძლიერიდან შობილი სწრაფვა საკითხებისკენ, რომლებზეც დღეს ვერავის ჰყოფნის გამბედაობა, მამაცობა *აკრძალულის* მიმართ; წინასწარგანსაზღვრულობა ლაბირინთში არსებობისკენ, შვიდკეცა მარტოობის გამოცდილება, ახალი ყურები ახალი მუსიკისთვის, ახალი თვალები ყველაზე შორეულისთვის, ახალი სინდისი ჭეშმარიტებათათვის, რომლებიც დღემდე დამუნჯებული იყო. და

ნება მაღალი სტილის ეკონომიისთვის: საკუთარი ძალების, საკუთარი *აღმაფრენის* დარაზმვა. საკუთარი თავის პატივისცემა; საკუთარი თავის სიყვარული; საკუთარი თავის უპირობო თავისუფლება...

ამგვარად, მხოლოდ ასეთნი არიან ჩემი მკითხველები, ჩემი ჭეშმარიტი მკითხველები, ჩემი წინასწარგანსაზღვრული მკითხველები. რა საქმე მაქვს *დანარჩენებთან?* – დანარჩენი მხოლოდ კაცობრიობაა. – კაცობრიობაზე მაღლა უნდა დადგე ძალით, სულის *სიმაღლით*, სიძულვილით...

ფრიდრიხ ნიცშე

1.

საკუთარ თავს შევხედოთ. ჩვენ ჰიპერბორეელები[1] ვართ. ჩვენ საკმარისად კარგად ვიცით, რამდენად შორს ვცხოვრობთ დანარჩენებისგან. „ვერც ხმელეთითა და ვერც წყლით იპოვი გზას ჰიპერბორეელებისკენ“ – წერდა ჯერ კიდევ პინდარე ჩვენს შესახებ.[2] ჩრდილოეთს, ყინულს, სიკვდილს მიღმაა *ჩვენი* ცხოვრება, *ჩვენი* ბედნიერება... ჩვენ მივაგენით ბედნიერებას, ჩვენ ვიპოვეთ გზა, ჩვენ მოვძებნეთ გამოსავალი ათასწლოვანი ლაბირინთიდან. *სხვამ* ვინ იპოვა იგი? – ნუთუ თანამედროვე ადამიანმა? – „მე არ ვიცი გზა აქეთ, ან იქით. მე ვარ ყველაფერი, რამაც არ იცის გზა აქეთ, ან იქით“, – ოხრავს თანამედროვე ადამიანი. ჩვენ ავად ვიყავით *ამ* თანამედროვეობით, ავად ვიყავით ამ ზარმაცი სამყაროთი, ლაჩრული კომპრომისით, თანამედროვე „კი“-სა და „არა“-ს მთელი ზნეობრივი უწმინდურებით. ეს შემწყნარებლობა, გულის lgeur,[3] რომელიც ყველაფერს „პატიობს“, რადგან ყველაფერი „ესმის“, ჩვენზე ისე მოქმედებს, როგორც სიროკო.[4] უმჯობესია ყინულებს შორის ცხოვრე-

1. ჰიპერბორეელები – შორეულ ჩრდილოეთში მცხოვრები მითიური ხალხი, რომელიც ბედნიერად და უზრუნველად ცხოვრობდა. – რედაქტ. შენიშვნა.
2. პინდარე, „მეათე პითიური ოდა“, 29-30. – მთარგმნ. შენიშვნა.
3. სიფართე, დიდსულოვნება (ფრ.) – მთარგმნ. შენიშვნა.
4. სიროკო – ცხელი და მშრალი ძლიერი ქარი, რომელიც აფრიკიდან სამხრეთ ევროპის მიმართულებით უბერავს. – რედაქტ. შენიშვნა.

ბა, ვიდრე თანამედროვე ზნეობათა თბილ მონაბერში!.. ჩვენ საკმარისად გამბედავები ვიყავით, ჩვენ არ დაგვიზოგავს არც საკუთარი თავი და არც სხვები, მაგრამ დიდხანს არ ვიცოდით, *საითკენ* მიგვემართა ჩვენი გამბედაობა. ჩვენ პირქუშნი ვიყავით, ფატალისტებს გვიწოდებდნენ. *ჩვენი* ბედისწერა იყო სისავსე, დაძაბულობა, ძალების მოკრება. ჩვენ ელვა და საქმე გვჭირდებოდა, ჩვენ უძლურთა ბედნიერების – „მორჩილებისგან“ – შორს ვრჩებოდით. ჩვენს ირგვლივ ჭექდა და ქუხდა; ბუნება, რომელიც თავად ჩვენ ვართ, წყვდიადმა მოიცვა, *რადგან ჩვენ არ გაგვაჩნდა გზა*. ჩვენი ბედნიერების ფორმულა: „დიახ“, „არა“, სწორი ხაზი, *მიზანი*...

2.

რა არის კარგი? – ყველაფერი, რაც ადამიანში ზრდის ძალაუფლების განცდას, ნებას ძალაუფლებისკენ, თავად ძალაუფლებას.

რა არის ცუდი? – ყველაფერი, რაც სისუსტიდან მომდინარეობს.

რა არის ბედნიერება? – *მზარდი* ძალაუფლების განცდა, გადალახული წინააღმდეგობის განცდა.

არა კმაყოფილება, არამედ უფრო მეტი ძალაუფლება; *არა* მშვიდობა ნებისმიერ ფასად, არამედ ომი; *არა* სიქველე, არამედ გაწაფულობა (სიქველე რენესანსის სტილში, virtù, მორალისგან თავისუფალი სიქველე).

სუსტები და წარუმატებლები უნდა დაიღუპონ: ესაა მოყვასისადმი *ჩვენი* სიყვარულის პირველი დებულება. ამ საქმეში მათ უნდა წავეხმაროთ კიდეც.

რა არის ყველა მანკიერებაზე უფრო მავნე? – ქმედითი თანაგრძნობა ყველა წარუმატებლისა და სუსტისადმი, ანუ ქრისტიანობა.

3.

ჩემი პრობლემა ის კი არაა, თუ რა ჩაანაცვლებს კაცობრიობას ცოცხალ არსებათა თანმიმდევრულ რიგში (ადამიანი დასასრულია), არამედ ის, თუ ადამიანის რა სახეობა უნდა *გამოვიყვანოთ* და *ვისურვოთ*, როგორც უფრო მეტად ფასეული, სიცოცხლის უფრო მეტად ღირსი და უფრო მყარი მომავლის მქონე.

ეს უფრო მეტად ფასეული სახეობა არაერთხელ არსებობდა წარსულში, მაგრამ მხოლოდ როგორც ბედნიერი შემთხვევითობა, როგორც გამონაკლისი და არასოდეს, როგორც *წინასწარგანზრახული* რამ. პირიქით, მისი ყველაზე მეტად ეშინოდათ. დღემდე იგი თითქმის საშინელის სინონიმი იყო და მის წინაშე არსებული შიშიდან გამომდინარე სურდათ, გამოჰყავდათ და *იღებდნენ* სრულიად საპირისპირო ადამიანის სახეობას: შინაური ცხოველის, ჯოგური ცხოველის, ავადმყოფი ცხოველის – ქრისტიანის...

4.

კაცობრიობა არ წარმოადგენს განვითარებას უკეთესის, უფრო ძლიერის, უფრო მაღლისკენ, როგორც ამისი დღემდე სწამთ. „პროგრესი“ მხოლოდ თანამედროვე იდეაა, ანუ ყალბი იდეა. დღევანდელი ევროპელი საკუთარი ღირებულებით გაცილებით დაბლა

დგას აღორძინების ეპოქის ევროპელზე. განვითარება სულაც არ ნიშნავს ამაღლებას, განმტკიცებას, ან გაძლიერებას.

მეორე მხრივ, დედამიწის სხვადასხვა ნაწილში და განსხვავებული კულტურების წიაღში გვხვდება ცალკეული შემთხვევების უწყვეტი წარმატებების სერია, რის ხარჯზეც ვლინდება ის, რაც, ფაქტიურად, *უფრო მაღალი სახეობაა* და რაც მთელ კაცობრიობასთან მიმართებით თავისებურ ზეადამიანს წარმოადგენს. ასეთი ბედნიერი შემთხვევითობები ყოველთვის ხდებოდა და ალბათ, ყოველთვის მოხდება. ხოლო კეთილსასურველ გარემოებებში ასეთი იღბლიანი შესაძლოა მთელი თაობები, ტომები და ერები აღმოჩნდნენ.

5.

არ არის საჭირო ქრისტიანობის მორთვა და მოკაზმვა: მან *სამკვდრო-სასიცოცხლო* ომი გამოუცხადა ადამიანის ამ უმაღლეს სახეობას, მან უარი თქვა ამ ტიპის ყველა ძირითად ინსტინქტზე, რომლებიდანაც მან ბოროტების, ბოროტი ადამიანის ცნება გამოწურა. ძლიერი ადამიანი უვარგის ადამიანად, „განკიცხულად“ იქცა. ქრისტიანობამ დაიჭირა ყველა სუსტის, დამცირებულისა და წარუმატებლის მხარე. ძლიერი ცხოვრების შენარჩუნების ინსტინქტებისადმი და*პირისპირებიდან* მან იდეალი შექმნა. ქრისტიანობამ თვით სულიერად ძლიერ ინდივიდთა გონება წაახდინა, რადგან მან უმაღლესი სულიერი ფასეულობები ცოდვად, ცდომილებაში შემყვანად და ცდუნებად გამო-

კანონი ქრისტიანობის წინააღმდეგ[87]

დამტკიცებულია ხსნის დღეს,
პირველი წლის პირველ დღეს
(– 1888 წლის 30 სექტემბერს ყალბი წელთაღრიცხვით)

სასიკვდილო ომი მანკიერების წინააღმდეგ:
მანკიერება ქრისტიანობაა

პირველი დებულება. – ყოველგვარი სახის არაბუნებრიობა მანკიერია. ყველაზე უფრო მანკიერი ადამიანი მღვდელია. იგი არაბუნებრიობას ასწავლის. მღვდლების წინააღმდეგ საჭირო არაა მიზეზების მოყვანა, მათ საპყრობილე ესაჭიროებათ.

მეორე დებულება. – ღვთისმსახურებაში ნებისმიერი სახით მონაწილეობა საზოგადოებრივ ზნეობაზე თავდასხმაა. პროტესტანტების მიმართ უფრო მეტი სიმკაცრეა საჭირო, ვიდრე კათოლიკეების მიმართ, ლიბერალი პროტესტანტების მიმართ უფრო მეტად, ვიდრე ორთოდოქსი პროტესტანტების მიმართ. დამნაშავეობის ხარისხი ქრისტიანში მით უფრო იზრდება, რაც უფრო ახლოსაა ის მეცნიერებასთან. შესაბამისად, დამნაშავეთა შორის დამნაშავე – ეს *ფილოსოფოსია*.

მესამე დებულება. – დაწყევლილი ადგილი, სადაც ქრისტიანობამ თავისი ბასილისკოს კვერცხები გა-

87. რედაქტორის თარგმანი.

მოჩეკა, უნდა აღიგავოს პირისაგან მიწისა.[88] როგორც დედამიწის ბილწი ადგილი, ის მომავალი თაობებისთვის საზარელი უნდა იყოს. იქ შხამიან გველებს უნდა ამრავლებდნენ.

მეოთხე დებულება. – უბიწოების ქადაგება არაბუნებრიობისადმი საჯარო მოწოდებაა. ყოველგვარი ზიზღი სქესობრივი ცხოვრების მიმართ, ცნება „უსუფთაო“-ს მეშვეობით მისი გაუწმინდურების ყოველი მცდელობა, არის ნამდვილი ცოდვა ცხოვრების წმინდა სულის წინაშე.

მეხუთე დებულება. – ერთ მაგიდასთან მღვდელთან ერთად ჭამა თვითგარიყვის ტოლფასია. ამით ადამიანი პატიოსანი საზოგადოებიდან საკუთარ თავს განკვეთს. მღვდელი *ჩვენი* ჩანდალაა. იგი კანონგარეშედ უნდა გამოცხადდეს, იგი უნდა აშიმშილონ, იგი ყველა სახის უდაბნოში უნდა განიდევნოს.

მეექვსე დებულება. – „წმინდა“ ისტორიას ის სახელი უნდა დაერქვას, რასაც ის იმსახურებს: *წყეული* ისტორია. სიტყვები „ღმერთი“, „მხსნელი“, „მაცხოვარი“, „წმინდანი“ სალანძღავ სიტყვებად, დამნაშავის დამღად უნდა იქნეს გამოყენებული.

მეშვიდე დებულება. – დანარჩენი ზემოთქმულიდან გამომდინარეობს.

ანტიქრისტე

88. შდრ. ესაია წინასწარმეტყველი. 59,5. – რედაქტ, შენიშვნა.

გამომცემლობა „აქტი“-ს მიერ გამოცემული წიგნები

1. ფრიდრიხ ნიცშე – ანტიქრისტე
2. ფრიდრიხ ნიცშე – ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან
3. ფრიდრიხ ნიცშე – სიკეთისა და ბოროტების მიღმა

4. კარლ იასპერსი – ნიცშე და ქრისტიანობა
5. კარლ იასპერსი – ფილოსოფიის შესავალი

6. სიორენ კირკეგორი – შიში და თრთოლვა
7. სიორენ კირკეგორი – სატანჯველის სახარება

8. ზიგმუნდ ფროიდი – სამი ნარკვევი სექსუალობის თეორიიდან
9. ზიგმუნდ ფროიდი – მასების ფსიქოლოგია და ეგოს ანალიზი
10. ზიგმუნდ ფროიდი – მოსე და მონოთეიზმი
11. ზიგმუნდ ფროიდი – ეგო და ID

12. ლევ შესტოვი – უსაფუძვლობის აპოთეოზი
13. ლევ შესტოვი – შემოქმედი და დამანგრეველი სამყარო

14. ბერტრან რასელი – ესეები
15. ბერტრან რასელი – ქორწინება და მორალი

16. ედმუნდ ჰუსერლი – ამსტერდამული მოხსენებები
17. მიგელ დე უნამუნო – ქრისტიანობის აგონია
18. ნიკოლაი ბერდიაევი – ყოფიერება, თავისუფლება, ღმერთი
19. იმანუელ კანტი – მარადიული მშვიდობისკენ
20. გიორგი გურჯიევი – დანახული რეალური სამყაროდან
21. ერიხ ფრომი – ადამიანის სული

22. სვამი ვივეკანანდა – ძველი ინდური ფილოსოფია
23. სვამი ვივეკანანდა – შთაგონებული საუბრები
24. სვამი ვივეკანანდა – კარმა-იოგა

25. მერაბ მამარდაშვილი – ცნობიერება და ცივილიზაცია
26. მერაბ მამარდაშვილი – რაციონალურობის კლასიკური
და არაკლასიკური იდეალები

27. ხოსე ორტეგა-ი-გასეტი – ეტიუდები სიყვარულზე

28. გუსტავ ლე ბონი – მასების ფსიქოლოგია
29. გუსტავ ლე ბონი – ერების ფსიქოლოგია

30. ჯიდუ კრიშნამურტი – თავისუფლება ცნობილისგან
31. ჯიდუ კრიშნამურტი – სწრაფი ცვლილებების აუცილებლობა

32. ოშო – რა არის მედიტაცია?
33. ოშო – სექსიდან სუპერცნობიერებამდე

34. ემა გოლდმანი – ანარქიზმი, ათეიზმი, ფემინიზმი
35. დევიდ ლოურენსი – ფსიქოანალიზი და არაცნობიერი

36. იულიუს ევოლა – ომის მეტაფიზიკა